

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინა უმაღლესი განათლების ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა მედიცინა ა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დიპლომირებული მედიკოსი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 360 კრედიტს: ძირითადი სასწავლო კურსები - 351 კრედიტი, არჩევითი სასწავლო კურსები 9 კრედიტი.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე მედიკოსის (მკურნალის) მომზადება, რომელიც მზად იქნება ჯანდაცვის ორგანიზაციულ სფეროში კონკურენტუნარიანი და ქმედითი მონაწილეობა მიიღოს როგორც სახელმწიფო, ასევე არასამთავრობო სექტორში. აგრეთვე მზად იყვნენ სწავლების უფრო მაღალ საფეხურებზე (რეზიდენტურაში ან დოქტორანტურაში) დასახული მიზნებისა და ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად.
სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)	დიპლომირებულ მედიკოსს აქვს საბუნებისმეტყველო, ქცევითი, სოციალური მეცნიერებების, საბაზისო და კლინიკური მედიცინის ღრმა და სისტემური ცოდნა; იცის წამლების ძირითადი ჯგუფები, მათი დანიშვნის პრინციპები პათოლოგიური მდგომარეობების და დაავადებების მიხედვით; აქვს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის შესახებ ღრმა ცოდნა და აცნობიერებს ექიმის როლს ამ სისტემაში; აქვს ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ღრმა ცოდნა; აცნობიერებს კომპლექსური კლინიკური პრობლემების გადაჭრის გზებს. შეუძლია არა ტიპური კლინიკური შემთხვევებისას ამოცანების მკაფიოდ ფორმულირება, ჯგუფის წევრებთან შეთანხმება, მათი საქმიანობის კოორდინაცია. შეუძლია სამედიცინო სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება, საკუთარი სწავლის პროცესის მართვა; აცნობიერებს რა ცოდნის განუწყვეტელი განახლების აუცილებლობას; გააჩნია საკუთარი ცოდნის და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასების უნარი. სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.
შეფასების წესი	სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი -81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: კახაბერ ქაშიბაძე , პროფესორი, კლინიკური მედიცინის დარგობრივი დეპარტამენტი მობ.: 593 33 59 60 e-mail: kakhaber.kashibadze@bsu.edu.ge